ხელშეკრულება N09/79

აუდიტორული მომსახურების შესახებ

ქ.თბილისი

18.03.2015

ერთის მხრივ, სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის № 199 საჯარო სკოლა (ს.ნ. 204877375) (3/621001004376) შემდგომში "დამკვეთი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე კვიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "Geword" (ს.ნ. 406026447) შემდგომში "შემსრულებელი" წარმოდგენილი მისი დირექტორი ბიჭი ასაძვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "შემსრულებლის" მიერ "დამკვეთისათვის" აუდიტორული მომსახურების გაწევა(CPV-79200000), რაც გულისხმობს 2014 წლის შესაბამისი პერიოდების საგადასახადო ანგარიშგების სისწორის აუდიტორულ შემოწმებას და აუდიტორული დასკვნის მომზადებას.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 "შემსრულებელი" უფლებამოსილია:

1) მოსთხოვოს "დამკვეთს" საქმის სრულყოფილი წარმოებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა;

2) მიიღოს "დამკვეთისაგან" ამომწურავი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მომსახურების გაწევისათვის;

3) მოსთხოვოს "დამკვეთს" გაწეული მომსახურების საფასურის სრული და დროული ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად;

2.2 "შემსრულებელი" ვალდებულია

1) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გასაწევად გამოყოს "შემსრულებლის" მიერ დაქირავებული პირი-თანამშრომელი რომლის საშუალებითაც უმუალოდ გაუწევს "დამკვეთს" ზემოთ აღნიშნულ მომსახურებას;

2) გაუწიოს "დამკვეთს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და კვალიფიციურად;

3) "დამკვეთის" მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას სრულიყოფილი ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ;

4) მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით განუხრელად დაიცვას „დამკვეთის" ინტერესები;

5) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაასრულოს 2015 წლის 30 აპრილამდე;

6) ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაანისაზღვროს 2015 წლის 30 მაისამდე;

2.3 "დამკვეთი" უფლებამოსილია

1) მიიღოს "შემსრულებლის" მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2) მოსთხოვოს "შემსრულებელს" გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციისა და ანგარიშის მიწოდება;

3) მოსთხოვოს "შემსრულებელს" ხელშეკრულების პირობათა სრულად დაცვა.

2.4 "დამკვეთი" ვალდებულია

1) დროულად მიაწოდოს "შემსრულებელს" ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად;

2) დროულად და სრული მოცულობით აუნაზღაუროს "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

მუხლი 3. მომსახურების საფასური. ანგარიშსწორების ვადა და წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 2200 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2 "დამკვეთი" "შემსრულებელს" მომსახურების საფასურს გადაუხდის მომსახურების დაწყებისას 1100 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით და დასრულებისას 1100 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.4 მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემდეგ საბანკო ანგარიშზე: GE52TB7728136080100001 (თიბისი ბანკი, კოდი: TBCBGE22)

მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლით, ან მხარეთა შეთანხმებით.

4.2 "შემსრულებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ "დამკვეთი" არ იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურს სრულად ან/და დროულად, ან ქმნის ისეთ გარემოებებს, რომელიც ხელს უშლის "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაში.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი.

5.2 "შემსრულებელი" ამუშავებს და შესაბამისად პასუხს აგებს მხოლოდ იმ დოკუმენტაციაზე, რომელსაც წარმოუდგენს "დამკვეთი".

5.3. "შემსრულებელი" თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია საკანონმდებლო ხარვეზებიდან, ორაზროვანი ჩანაწერებიდან.

5.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

5.5 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი თანხმობის გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.6 "შემსრულებელი" პასუხს არ აგებს არაკარგმუნო ან/და არასრული მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებზე.

5.8 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. განსაკუთრებული პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია წერილობითი ფორმით.

6.2 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება ძალაში შედის მხარეთა შეთანხმებით, თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

6.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების წესრულებამდე.

6.5 ხელშეკრულება გაფორმებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსრულებელი"

შპს "Geword"

ს.ნ 406026447

ბანკი: „თი ბი სი ბანკი"

ანგ. GE52TB7728136080100001

ბანკის კოდი TBCBGE22

დირექტორი: გივი ასაშვილი

"დამკვეთი"

სსიპ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის

№ 199 საჯარო სკოლა

ს.ნ. 204877375

დირექტორი: ივანე კვიტაშვილი